კონკურსი „მე ვწერ ქართულად“

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან თანამშრომლობით, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერით, საქართველოს არაქართულენოვანი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სექტორების IX კლასის მოსწავლეებისთვის აცხადებს კონკურსს სახელწოდებით „მე ვწერ ქართულად“.

კონკურსის მიზანია სახელმწიფო ენის პოპულარიზაცია, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი მოსწავლეებისთვის სახელმწიფო ენაზე წერითი კომპეტენციების განვითარება/წახალისება.

კონკურსი გაიმართება კამპანიის „მე მიყვარს ქართული - ჩემი სახელმწიფო ენა“ ფარგლებში, რომელსაცსაფუძველი ჩაეყარა ლიეტუვაში, ვილნიუსის უნივერსიტეტში, 2016 წელს.

კონკურსი ჩატარდება სამ ეტაპად:

- **პირველი ეტაპი** - თითოეულმა არაქართულენოვანმა სკოლამ/სექტორმა უნდა შეარჩიოს და შესაბამის რესურს-ცენტრს წარუდგინოს IX კლასის მოსწავლის ერთი კანდიდატურა. სკოლა თავისუფალია შერჩევის კრიტერიუმების განსაზღვრაში;
- **მეორე ეტაპი** ყველა რესურს-ცენტრში ერთდროულად ჩატარდება 8 აპრილს. სკოლებიდან წარმოდგენილ მოსწავლეებს თითოეულ რესურს-ცენტრში ჩაუტარდებათ საშუალო სირთულის, 120/130 სიტყვის მოცულობის ტექსტის კარნახი. წერის დრო იქნება შეზღუდული; რესურს-ცენტრებს საკონკურსო ტექსტი ელექტრონულად მიეწოდებათ 8 აპრილს; ნაწერები იმავე დღეს გასწორდება რესურს-ცენტრში შექმნილი კომისიის მიერ.
  თითოეული რესურს-ცენტრის მიერ გამოვლინდება ორი გამარჯვებული, რომელიც წარედგინება კონკურსის დასკვნითი ეტაპის ჩატარებაზე პასუხისმგებელ პირს;
- **მესამე ეტაპი** - რესურს-ცენტრების მიერ წარმოდგენილი კონკურსანტებისათვის თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართება 14 აპრილს;
  დასკვნითი ეტაპი ითვალისწინებს ორ რაუნდს:

  - **პირველი რაუნდი** - მოსწავლეებს ჩაუტარდებათ საშუალო სირთულის 150 სიტყვის მოცულობის ტექსტის კარნახი შეზღუდულ დროში; საკონკურსო კომისიის მიერ გამოვლინდება პირველი რაუნდის გამარჯვებულები; პირველი რაუნდის მონაწილეთა 50% შედეგების გათვალისწინებით და კომისიის გადაწყვეტილების შესაბამისად გადადის მეორე რაუნდში;
  - **მეორე რაუნდი** - მოსწავლეები დაწერენ რთული ტექსტის კარნახს 150 სიტყვის მოცულობით; ტექსტში, რომელსაც შეადგენს თანამედროვე მწერალი, სიტყვათა 30% უნდა იყოს ისეთი სიტყვები, რომელიც არ არის მოსწავლეთა ყოველდღიურ სასაუბრო ლექსიკონში;

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ შეიქმნება კომისია, რომელიც გამოავლენს სამ გამარჯვებულს;

ვადები

- არაქართულენოვანი სკოლების მიერ რესურს-ცენტრებისათვის კონკურსში მონაწილე კანდიდატურების წარდგენა არაუგვიანეს 2019 წლის 5 აპრილისა;
- რესურს-ცენტრებში კონკურსის ჩატარება არაუგვიანეს 2019 წლის 8 აპრილისა;
- თითოეული რესურს-ცენტრის მიერ ელექტრონული ფორმით ორი გამარჯვებულის წარდგენა შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატისათვის არაუგვიანეს 10 აპრილისა, შემდეგ მისამართზე: r.asatiani@smr.gov.ge; საკონტაქტო პირი: რუსუდან ასათიანი - ტელ.: 2921650
- დასკვნითი ტურის ჩატარება 14 აპრილს თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც მონაწილეობას მიიღებენ რესურს-ცენტრების მიერ წარმოდგენილი კანდიდატები;
- გამარჯვებულების გამოვლენა და დაჯილდოება შედგება 14 აპრილს, ქართული ენის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე;

დაჯილდოება:

გამარჯვებული კონკურსანტები დაჯილდოვდებიან სიგელებითა და ფასიანი საჩუქრებით. თითოეულ მონაწილეს გადაეცემა სიგელი და სიმბოლური საჩუქარი.